საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერია
GEORGIA
Kutaisi Mayor's Office

№ 01-1272
26 02 2014 წ.

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 48
თარიღი: 4 03 2014 წ.

აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"-ს
ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2014 წლის 26 თებერვლის N152 მომართვასთან დაკავშირებით ქ. ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ") XXII თავის მიხედვით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ (ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ) გადაწყვეტილებას იღებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო.

ქალაქ ქუთაისში, ირ. აბაშიძის გამზირის N26-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი ქალაქ ქუთაისის მერიაში წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ პარლამენტის შენობის მშენებლობის პროექტი არ შეთანხმებულა და არც მშენებლობის ნებართვაა გაცემული.

რაც შეეხება მოთხოვნებს მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, იგი გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების XXII თავის 95-ე, 96-ე და 97-ე მუხლების მიხედვით.

პატივისცემით,
ნოდარ მიქიაშვილი
ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი